

ენის პოლიტიკის ვენის თეზისები - 11+1 მოთხოვნა ენის საშუალებით საზოგადოებრივი ჩართულობის გასაძლიერებლად

ენის პოლიტიკის ვენის თეზისები შემუშავებული იქნა გერმანული ენის მასწავლებელთა ვენის XVII საერთაშორისო ყრილობამდე (2022) სპეციალისტთა საერთაშორისო ჯგუფის მიერ (იხ. ბმული).

ეს თეზისები წარდგენილი იქნა გერმანული ენის მასწავლებელთა ყრილობის (IDT 2022) ფარგლებში და გამოქვეყნდა 2022 წლის 20 აგვისტოს ყრილობის დახურვის ცერემონიაზე. თეზისები მიემართება როგორც პოლიტიკას, ასევე მთელ დარგს და გასდევს ყრილობის დევიზს mit.sprache.teil.haben. ენის შესწავლისა და სწავლების, ასევე დარგობრივი ენის შესწავლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს დისკუსიის უნარის განვითარება, რომელიც ხელს უწყობს და შესაძლებელს ხდის პასუხისმგებლობით გამსჭვალულ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და თანასწორუფლებიან თანამშრომლობას საზოგადოებასთან.

1. გერმანული ენის შესწავლა ხდება მრავალენოვან საზოგადოებაში. თავად ენის შემსწავლელი გაკვეთილები მოდიან მრავალენოვანი და მრავალკულტუროვანი გამოცდილებებითა და კომპეტენციებით, რასაც ენის სწავლებისას ანგარიში უნდა გაეწიოს. ენის პოლიტიკა, რომელიც საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ რესურსებს, ასევე გლობალურ და რეგიონულ პერსპექტივებსა და რეალობას ითვალისწინებს, ამას ხელს უწყობს და უწყობდეს. საზოგადოების ენობრივი და კულტურული ჰეტეროგენულობა უნდა აისახებოდეს სასწავლო მასალებისა და სასწავლო შეთავაზებების შერჩევაში, კურიკულუმებში, სასწავლო შინაარსების არჩევანში, განათლების სხვადასხვა სფეროში და ასევე კვლევებში.
2. ფინანსურად და სტრუქტურულად უნდა გამარტივდეს და ხელი შეეწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას. საერთაშორისო თანამშრომლობები განსაკუთრებით წარმატებულია, როდესაც ყველა მხარე თანაბარი უფლებებით სარგებლობს და თანამშრომლობა ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციას ეფუძნება, რისთვისაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი გარემო პირობები. განსაკუთრებულ ხელშეწყობასა და აღიარებას საჭიროებენ გერმანულის, როგორც უცხო ენის, ასევე გერმანულის, როგორც მეორე ენის დარგობრივი ასოციაციები, რათა მათ თავიანთი გაძლიერებული პოზიციით შეძლონ დაამყარონ კავშირები და გაავრცელონ დარგობრივი კომპეტენციები.
3. გერმანული ენის სწავლისა და სწავლების სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს გაძლიერების იდეა, ანუ ენის კომპეტენციების შექმნა, რომელიც იმთავითვე

თვითმართული შემდგომი სწავლით, საზოგადოებაში თუ სამუშაო ადგილზე ჩართულობით მიიღწევა. ენის შემსწავლელთა განსხვავებულ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს უნდა შეესაბამებოდეს საჭიროებაზე ორიენტირებული და მრავალფეროვანი შეთავაზებები. ენის შემსწავლელები არ წარმოადგენენ „ადამიანურ რესურსებს“, არამედ აქტიური და დაცული უნდა იყვნენ როგორც სუბიექტები თავიანთი ადამიანური ღირებულებებით. ეს ეხება არა მარტო პროფესიაზე მიმართული გერმანული ენის სწავლების ან ზრდასრულთა განათლებას, არამედ ზოგადად ენის სწავლებასა და სწავლის პროცესს.

4. ენობრივ რეპერტუარებს შეუძლიათ შესაძლებელი გახადონ სოციალურ პროცესებში ჩართულობა. ამიტომ მიგრაციის კონტექსტში ენის სწავლება უნდა ეფუძნებოდეს მიგრანტების ცხოვრების რეალობას და მათ საჭიროებას პროფესიული და ყოველდღიური ცხოვრებისთვის. ენობრივი უნარები განცალკევებული უნდა იყოს ბინადრობის კანონის საკითხებისაგან და არ უნდა წარმოადგენდეს ცენტრალურ მოთხოვნას შრომის ბაზარზე ან სოციალური სარგებლის მისაღებად. ენა არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც დისკრიმინაციის ინსტრუმენტი.
5. სასკოლო გერმანულის გაკვეთილები მთელ მსოფლიოში ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მოსწავლეთა მთელი ენობრივი რეპერტუარი რესურსად იყოს გამოყენებული. ენის სწავლა უნდა ასოცირდებოდეს როგორც დარგის, ასევე ინტერდისციპლინარული უნარების სწავლასთან. სასწავლო გეგმები და სასწავლო მიზნები ამის შესაბამისად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ენობრივი ხელშეწყობა და ენობრივი განათლება უნდა იწყებოდეს სკოლამდელი აღზრდიდან და გრძელდებოდეს სკოლის დამთავრებამდე.
6. საუნივერსიტეტო სივრცეში სახელმწიფოს მხრიდან ხელი უნდა შეეწყოს სასტიპენდიო პროგრამებს და კვლევებს, რათა გაიზარდოს, სტუდენტების, ლექტორებისა და მაძიებლების მობილობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები, რომლებსაც არსებითი წვლილი შეაქვთ ენის შესწავლაში. განურჩევლად სოციალურ-ეკონომიკური წარმოშობისა, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ სასურველი სასწავლო და კვლევითი შეთავაზებებით, განსაკუთრებით გერმანულენოვან ქვეყნებში.
7. კვლევა არ უნდა იყოს მონოპოლიზებული ან შეზღუდული (საგანმანათლებლო-) პოლიტიკით. კვლევის თავისუფლება და მრავალფეროვნება გერმანული, როგორც უცხო და მეორე ენის სფეროში (DaF/DaZ) უნდა იყოს გარანტირებული. ამ სფეროს კვლევების შედეგები კარგად უნდა იქნას გაცნობიერებული (საგანმანათლებლო-) პოლიტიკაში და გატარებული შესაბამისი ღონისძიებებით. ასევე ხელი უნდა შეეწყოს ტრანსდისციპლინარულ და საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობას კვლევაში, როგორც ღია სამეცნიერო კომუნიკაციას გლობალური დარგობრივი ჯგუფებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

8. მთელ მსოფლიოში მასწავლებელთა კონტინგენტს უნდა ჰქონდეთ წვდომა მაღალ ხარისხიან საკვალიფიკაციო შეთავაზებებზე, რომლებიც მაღალი ხარისხის სტანდარტებს აკმაყოფილებენ და ითვალისწინებენ დარგში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, ასევე რეგიონულ და ინსტიტუციურ განსხვავებებს მოცემულ სწავლა-სწავლების კულტურაში.
განსხვავებული ფინანსური მოთხოვნები არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას. საკვალიფიკაციო შეთავაზებებში მონაწილეობას ხელი უნდა შეეწყოს ყველა შესაძლო საშუალებით და ის აღიარებული და დაფასებული უნდა იქნას შესაბამის პროფესიულ კონტექსტში.
9. მასწავლებლის სამუშაო პირობები უნდა გაუმჯობესდეს სკოლასა და სკოლის გარე დაწესებულებებში. უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ანაზღაურება; ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს საგაკვეთილო და გაკვეთილის წინა და შემდგომი სამუშაო დროების თანაბარი ურთიერთდამოკიდებულება ხანგრძლივი პერსპექტივებითა და შემდგომი საკვალიფიკაციო შემოთავაზებებით.
10. ციფრულმა გარდასახვამ ენების სწავლასა და სწავლებისათვის, მაგ. ოფლაინ გაკვეთილზე, დამოუკიდებლად სწავლის ფაზების დროს და ვირტუალური საკლასო ოთახში, ახალი მრავალფეროვანი შესაძლებლობები მოიტანა. ამასთან დიგიტალიზაცია ხელს უწყობს საერთაშორისო კოოპერაციების განხორციელებას ენის პოლიტიკისა და კვლევის სფეროებში. მიუხედავად ამისა ციფრულ შემოთავაზებებს არ ძალუძს ჩაანაცვლოს ფიზიკური შეხვედრების დიალოგი. მათ არ უნდა გამოიწვიონ ადგილზე პერსონალის შემცირება. ყველასათვის გარანტირებული უნდა იყოს წვდომა ციფრულ სამყაროსთან, მაგ. შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობისა და საკვალიფიკაციო გადამზადების სახით, რათა დიგიტალიზაციამ კიდევ უფრო მეტად არ გაზარდოს არსებული სხვაობები.
11. გერმანული ენის შესწავლა მოიაზრება, როგორც ენის განათლება, რომელიც აგრეთვე ესთეტიურ და კულტურულ-რეფლექსურ სწავლას მოიცავს და ამასთანავე მდგრად ცხოვრების წესზე, ადამიანის უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე აზრის გამოხატვის საშუალებას იძლევა. დისკუსიის უნარის განვითარებით ენის სწავლამ ხელი უნდა შეუწყოს მშვიდობის კულტურას და არა ძალადობას, ასევე კულტურული მრავალფეროვნების ღირებულებებს. ამით ენის სწავლას შეუძლია წარმატებული წვლილი შეიტანოს მდგრად განვითარებაში და კოსმოპოლიტური პოზიციის გაძლიერებაში.

ენის პოლიტიკა უნდა დამკვიდრდეს დამოუკიდებელ პოლიტიკური სფეროდ, რომელიც თანასწორუფლებიანად ჩაერთვება სხვადასხვა პოლიტიკურ სფეროებთან ერთად დისკუსიაში და არ აღიქმება ისე როგორც ეს დღემდეა მხოლოდ ინტერდისციპლინარულ

დარგად. ენის პოლიტიკის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სფეროს დამკვიდრება და ჩამოყალიბება გახლავთ როგორც ცალკეული სახელმწიფოების, ასევე ზესახელმწიფოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა სტრუქტურების ამოცანა და ყოველთვის მოიაზრება საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მრავალენოვნებისა და ჩართულობის მიზნის საფუძვლად.

20 აგვისტო 2022წ.

ციტირება: ენის პოლიტიკის თეზისების სამუშაო ჯგუფი (2022): ენის პოლიტიკის ვენის თეზისები. გამოქვეყნებული გერმანული ენის მასწავლებელთა ვენის XVII საერთაშორისო ყრილობის ფარგლებში.

<https://www.idt2022.at/site/dieidt/sprachenpolitischethesen>

სამუშაო ჯგუფის წევრები (ანბანურად): რუდოლფ დი ცილია, ანა-კატარინა დრაქსლი, თომას ფრიცი, მათიას ფონ გელენი, მონიკა იანიკა, მათიას იუნგი, ფუნეტ ქაური, ლიანა კონსტანტინილოი, ინგერ პეტერსენი, სანდრა რაიტბრახტი, იულია რუკი, ჰანეს შვაიგერ, ბრიგიტე ზორგერი, თომას შტუდერი.